ელექტრონული ოქმი

ქ. წალენჯიხა 15 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი

2022 წლის 15 თებერვალს, 12 საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, გელა აბულაძე, ავთანდილ გაბელია, ომარ ქარდავა, ბესიკ ფარცვანია; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია; ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია; მერის წარმომადგენელი ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ხარჩილავა.

დღის წესრიგი:

1.ქ.ჯვარის სოხუმის ქუჩის N1-ში მდებარე სამსართულიან კორპუსში მცხოვრებთა განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2.ქ.ჯვარის კოსტავას ქუჩის N2-ში და რუსთაველის ქ. N12-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

სხდომის დაწყების დრო:12:00

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავამ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განხილული იქნა კოლექტიური განცხადება, რომელიც დათვალიერებული და შესწავლილია ამავე კომისიის თავმჯდომარის ომარ ქარდავას და მერის წარმომადგენელი ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ხარჩილავას მიერ.

ამ საკითხებთან დაკავშირებით დავით ბელქანიამ განაცხადა, რომ ამ პრობლემების მოგვარება ბიუჯეტის განხილვის დროს იყო წამოყენებული და მერიამ დადო პირობა რომ გათვალისწინებული იქნებოდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის სახით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ ამ განცხადებების აღმასრულებელი ორგანოსთვის გადაცემასა და ეტაპობრივად ამ პრობლემების მოგვარებაზე ისაუბრა.

ამით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 12^{30} სთ-ზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე /ომარ ქარდავა/